ცვლილება დამტკიცებულია

რექტორის 2024 წლის 02 ოქტომბრის №501 ბრძანებით

(ბრძანების ძალაში შესვლის თარიღი 03.10.2024წ.)

რექტორი, პროფესორი _____ მარინა ფირცხალავა

შპს უნივერსიტეტი გეომედის

ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დებულება

თბილისი _ 2024წ.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. შპს უნივერსიტეტი გეომედის ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (შემდგომში -„ინსტიტუტი") არის შპს უნივერსიტეტი გეომედის (შემდგომში- „უნივერსიტეტი") დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეული.
2. ინსტიტუტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით და წინამდებარე დებულებით.
3. ინსტიტუტს უფლება აქვს ჰქონდეს ბეჭედი და ბლანკი.

მუხლი 2. ინსტიტუტის მიზნები და ამოცანები

1. განახორციელოს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა უნივერსიტეტის ძირითადი სამეცნიერო მიმართულებების შესაბამისად.
2. უზრუნველყოს ლაბორატორიული კვლევების ჩატარება, კვლევის შედეგების განზოგადება და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება.
3. განახორციელოს უნივერსიტეტის ფაკულტეტებთან ერთად კვლევის შედეგების ინტეგრაცია სასწავლო პროცესში.
4. უზრუნველყოს კვლევებში და სამეცნიერო საგრანტო პროექტებში უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის და სტუდენტების ჩართვა.
5. ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასა და განვითარებას. მონაწილეობა მიიღოს საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო ნაშრომების შესრულებაში.
6. ითანამშრომლოს ადგილობრივ და უცხოეთის წამყვან სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან, მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში სამეცნიერო გრანტების, გაცვლითი სამეცნიერო პროგრამების ფარგლებში.
7. ორგანიზება გაუწიოს საერთაშორისო და ეროვნულ კონფერენციებს, სიმპოზიუმებს და სამუშაო შეხვედრებს, რომელიც მოემსახურება ინსტიტუტის კვლევების შედეგების წარმოჩენას.

მუხლი 3. ინსტიტუტის სტრუქტურა

1. ინსტიტუტის მართვის ორგანოებია: ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და ინსტიტუტის დირექტორი.
2. ინსტიტუტის სტრუქტურა შედგება სამეცნიერო და დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისაგან (განყოფილებები, ლაბორატორიები, ვივარიუმი და ა.შ.)

მუხლი 4. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო

1. ინსტიტუტის წარმომადგენლობითი ორგანოა სამეცნიერო საბჭო, რომელსაც ქმნიან ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომლები და ინსტიტუტის დირექტორი.
2. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო შედგება არანაკლებ სამი წევრისაგან.
3. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო:

   ა) განიხილავს და წყვეტს ინსტიტუტის სამეცნიერო მართვისა და განვითარების საკითხებს.

   ბ) შეიმუშავებს ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამეცნიერო კვლევების მიმდინარე გეგმებს, რომელიც მტკიცდება ინსტიტუტის დირექტორის მიერ.

   გ) განიხილავს ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა წლიურ ანგარიშებს, მათ საფუძველზე ამზადებს ინსტიტუტის წლიურ სამეცნიერო ანგარიშს, რომელსაც განსახილველად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

   დ) შეიმუშავებს ინსტიტუტის სტრუქტურის ცვლილებების პროექტს დირექტორთან შეთანხმებით და განსახილველად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

   ე) საბჭოს საქმიანობას წარმართავს მისი წევრებისაგან სიითი შემადგენლობის უმრავლესობით არჩეული თავმჯდომარე.

   ვ) ირჩევს სამეცნიერო საბჭოს სწავლულ მდივანს თავისი შემადგენლობიდან.

   ზ) სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდელი შეწყვეტა ხდება სამეცნიერო საბჭოს მიერ, გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება ხმათა ნახევარზე მეტის რაოდენობით.

   თ) ირჩევს ინსტიტუტის დირექტორს და წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

   ი) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში მონაწილეობს კვლევითი კომპონენტის შესრულების მონიტორინგის პროცესში.

   კ) ასრულებს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით, ასევე წინამდებარე დებულებით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.
4. სამეცნიერო საბჭოს სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა წევრმა. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტი ხმა ენიჭება ინსტიტუტის დირექტორის ხმას.
5. სამეცნიერო საბჭოს სხდომა თავმჯდომარის მიერ მოიწვევა თვეში ერთხელ, დასაშვებია რიგგარეშე სხდომების მოწვევა. სამეცნიერო საბჭოს რიგგარეშე სხდომა მოიწვევა თავმჯდომარის მიერ. საბჭოს სხდომის მიმდინარეობა ფორმდება სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერს თავმჯდომარე და სწავლული მდივანი.

მუხლი 5. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე

1. სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელობს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.
2. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს უნდა ჰქონდეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.
3. საბჭოს თავმჯდომარეს 5 წლის ვადით ირჩევს სამეცნიერო საბჭო, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.
4. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე ორგანიზებას უწევს სამეცნიერო საბჭოს მუშაობას, უძღვება სხდომებს, ხელს აწერს სხდომის ოქმებს, ხელმძღვანელობს ინსტიტუტის წლიური სამეცნიერო ანგარიშის მომზადებას.

მუხლი 6. ინსტიტუტის დირექტორი

1. ინსტიტუტის სამეცნიერო-საორგანიზაციო და ადმინისტრაციულ საქმიანობას ხელმძღვანელობს დირექტორი.
2. ინსტიტუტის დირექტორს, 5 წლის ვადით, ღია კონკურსის საფუძველზე ირჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და წარუდგენს დასამტკიცებლად უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.
3. ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს პირმა, რომელიც აკმაყოფილებს ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს. თუ პირს არ უკავია ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა, ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის დაკავების შემთხვევაში იგი ითვლება აგრეთვე მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე არჩეულად.
4. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო დირექტორის კანდიდატურისათვის წარდგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების საფუძველზე აცხადებს ღია კონკურსს დირექტორის კანდიდატურის შესარჩევად, საბუთების მიღებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე. კანდიდატურის შერჩევისას ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო აფასებს თითოეული კანდიდატის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმას.
5. ინსტიტუტის დირექტორი, როგორც მთავარი მეცნიერი თანამშრომელი არის სამეცნიერო საბჭოს წევრი.
6. ინსტიტუტის დირექტორი:

   ა) უზრუნველყოფს ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევების ეფექტიანად წარმართვას, ასევე ინსტიტუტის ორგანიზაციულ მართვას.

   ბ) უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების გეგმას, სამეცნიერო კვლევების გეგმებს და საგრანტო პროექტებს.

   გ) შეიმუშავებს და უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს განსახილველად წარუდგენს ინსტიტუტის ბიუჯეტის პროექტს და საშტატო განრიგს.

დ) ხელს უწყობს ინსტიტუტის სამეცნიერო კონტაქტების განვითარებას საქართველოსა და უცხოეთის სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სხვა სახის ორგანიზაციებთან.
ე) ორგანიზებას უწევს სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნებას.
ვ) წარმოადგენს ინსტიტუტს სხვადასხვა ორგანიზაციასა თუ დაწესებულებებში.

მუხლი 7. ინსტიტუტის სამეცნიერო და დამხმარე სტრუქტურული ერთეულები

1. ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ღია კონკურსის საფუძველზე ირჩევს სამეცნიერო საბჭო და ამტკიცებს დირექტორი.
2. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელად შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ინსტიტუტის მთავარი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს. თუ პირს არ უკავია ინსტიტუტის მთავარი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა, ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში იგი ითვლება აგრეთვე სათანადო სამეცნიერო თანამდებობაზე არჩეულად.
3. ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებია:
   ა) სტომატოლოგიის განყოფილება;
   ბ) მედიცინის განყოფილება;
   გ) ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის განყოფილება;
   დ) მოლეკულური მედიცინის ლაბორატორია;
   ე) პათომორფოლოგიის ლაბორატორია.
4. ინსტიტუტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ამტკიცებს ინსტიტუტის დირექტორი.
5. ინსტიტუტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულია:
   ა) ტექნიკური განყოფილება.
6. ინსტიტუტის სამეცნიერო/დამხმარე სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი:
   ა) შეიმუშავებს სტრუქტურულ ერთეულში განსახორციელებელი საქმიანობის სამუშაო გეგმებს და წარუდგენს დასამტკიცებლად სამეცნიერო საბჭოს.
   ბ) სტრუქტურული ერთეულის კომპეტენციის ფარგლებში ორგანიზებას უწევს სამეცნიერო-კვლევითი საგრანტო პროექტების შემუშავებას.
   გ) სამეცნიერო საბჭოს წარუდგენს საქმიანობის წლიურ ანგარიშს.

მუხლი 8. ინსტიტუტის პერსონალი

1. ინსტიტუტის პერსონალი შედგება დირექტორის, სწავლული მდივნის, სამეცნიერო პერსონალისა და დამხმარე პერსონალისაგან (უფროსი ლაბორანტი, ლაბორანტი, ინჟინერი და ა.შ.).
2. ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალი შედგება შემდეგი სამეცნიერო თანამდებობების მქონე პირებისაგან:
   ა) მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;

ბ) უფროსი მეცნიერი თანამშრომელი;
გ) მეცნიერი თანამშრომელი.

3. ინსტიტუტის დამხმარე პერსონალი უზრუნველყოფს ინსტიტუტის ტექნიკურ და ორგანიზაციულ მხარდაჭერას.

მუხლი 9. სამეცნიერო თანამდებობის დაკავების წესი

1. სამეცნიერო თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის საფუძველზე, რომელიც უნდა ჩატარდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების შესაბამისად.
2. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული ვადით შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება.
3. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული ვადით შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.
4. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული ვადით შეუძლია პირს, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.
5. სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის ჩატარების თარიღი და დამატებითი პირობები ქვეყნდება შესაბამისი საბუთების მიღებამდე 1 თვით ადრე.
6. სამეცნიერო თანამდებობის კონკურსის წესით დასაკავებლად დამატებით პირობებს შეიმუშავებს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

მუხლი 10. სამეცნიერო და დამხმარე პერსონალის შრომითი ურთიერთობები

1. სამეცნიერო და დამხმარე პერსონალთან იდება წერილობითი შრომითი ხელშეკრულება.
2. სამეცნიერო და დამხმარე პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:
   ა) პირადი განცხადება;
   ბ) ვადიანი შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა;
   გ) დისციპლინური ნორმების უხეში ან სისტემატური დარღვევა;
   დ) შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დარღვევა;
   ე) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევები.

მუხლი 11. ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის უფლება-მოვალეობები

1. სამეცნიერო პერსონალს უფლება აქვს:
   ა) დამოუკიდებლად განახორციელოს სამეცნიერო კვლევა და შეუზღუდავად გამოაქვეყნოს კვლევის შედეგები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათი შეზღუდვა შრომითი ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული.
   ბ) დამოუკიდებლად განსაზღვროს სამეცნიერო კვლევის შინაარსი, კვლევის მეთოდები და საშუალებები;
   გ) მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულებაში;
   დ) მონაწილეობა მიიღოს საგრანტო დაფინანსების მოსაპოვებელ კონკურსებში;
   ე) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.
   ვ) შეითავსოს აკადემიური თანამდებობა.
2. სამეცნიერო პერსონალი ვალდებულია:
   ა) შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობითა და ინსტიტუტის დებულებით დადგენილი მოთხოვნები;
   ბ) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
   გ) სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ყოველწლიურად წარუდგინოს შესრულებული სამუშაოს ანგარიში.
   დ) გაუფრთხილდეს ინსტიტუტის ქონებას.
3. უნივერსიტეტი და ინსტიტუტი უზრუნველყოფენ სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო კვლევის თავისუფლებას.

მუხლი 12. ინსტიტუტის დაფინანსება

1. ინსტიტუტის დაფინანსების წყაროებია:
   ა) უნივერსიტეტის ბიუჯეტი.
   ბ) სამეცნიერო გრანტების ფარგლებში მიღებული შემოსავალი.
   გ)სხვა შემოსავლები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და ამ დებულებას.

მუხლი 13. სხვა დებულებები

1. ინსტიტუტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით.
2. ინსტიტუტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით.